ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№6(110)
ივნისი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს წარმომადგენლები წეროვანსა და სოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში იმყოფებოდნენ

3

ნიკო ხერკელაძის იუბილე თბილისის საკრებულოში



5

წილკნის დევნილთა დასახლებაში მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფარი აშენდა

4

ღვაწლმოსილი

6

ყველა მოსწავლეში დადებითს ვეძებდი მუდამ...

ახალგორის სამუსიკო სკოლამ გამოსაშვები კონცერტი გამართა

9

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 23 საბავშვო ბაღის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება

3

გივი ქენქაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში

10

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით...

2023 წლის ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვები 150 ლარის ნაცვლად თვეში 200 ლარიან დახმარებას მიიღებენ.

პროგრამისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტს 70 მილიონი ლარი დაემატება. ჯამში, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარების გადასახდელად, წლის განმავლობაში ნახევარ მილიარდ ლარამდე იქნება გამოყოფილი.

აღნიშნული ცვლილება 233 000-მდე ბავშვს შეეხება.

ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

აქამდე, ოპერაცია ნაწილობრივ ფინანსდებოდა. ამიერიდან კი სრულად (120 000 ლარით) დაფინანსდება როგორც დიაგნოსტიკის, ასევე ოპერაციის ხარჯები.

აქამდე მოქმედი პროგრამით, ღვიძლის ტრანსპლანტაცია დადგენილი ტარიფის ფარგლებში ფინანსდებოდა არა უმეტეს 70 000 ლარით, პაციენტის თანაგადახდის წილი კი, 50 000 ლარს შეადგენდა. მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სერვისების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტს თანაგადახდის წილი მთლიანად მოეხსნა და ჯანდაცვის სამინისტრო მომსახურებას სრულად - 120 000 ლარით დააფინანსებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორგანოგადანერგილი პირები შშმ სტატუსის დადგენის უფლებით ვერ სარგებლობდნენ, რისთვისაც შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის იანვარში და ღვიძლის, გულის ან თირკმლის გადანერგვა მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს.

პენიტენციურ დაწესებულებებში იუსტიციის სახლები გაიხსნა, რის შედეგადაც იუსტიციის სახლის სერვისების მიღება მსჯავრდებულებისათვის სასჯელის მოხდის ადგილზევე იქნება ხელმისაწვდომი. პროექტი ქართული ინოვაციაა და ანალოგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ აქვს.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

საქართველოს პარლამენტის კომიტეტის გასვლითი სხდომა ყაზბეგში

ყაზბეგში საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილთან და სხვა წევრებთან ერთად, მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე და რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, მათ შორის, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნუგზარ ფსუტური ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა სხდომის ფარგლებში სხვადასხვა თემატური საკითხი განიხილეს. მათ შორის საუბარი შეეხო მცხეთა-მთიანეთში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის, სპორტის სახეობების განვითარებისა და ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ თემებს.

გარდა ამისა, შეხვედრის მონაწილე მხარეებმა იმსჯელეს აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე მოზარდებისა და ახალგაზრდების დამოკიდებულების, მათი გამოჯანმრთელების პოლიტიკისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებაც.

საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტის წევრებმა, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრ გივი მიქანაძის ხელძღვანელობით, თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრის განცხადებით, წეროვნის დევნილთა დასახლებაში სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდება განახლდება.

ზაფხულის დადგომასთან ერთად, იზრდება წყლის მოხმარება, რაც განსაკუთრებით პრობლემას უქმნის ავტობანის დასახლებას. ბოლო დღეების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა წყლის მიწოდება დასახლების ზედა ზოლში და აუცილებელი გახდა, გრაფიკის ამოქმედება.

გრაფიკის მიხედვით, წყლის მიწოდება ქვედა ზოლს შეუწყდება 15:00-20:00 საათებში და მიეწოდება ავტობანის მხარეს.

სერვისცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს, მაქსიმალურად შეამციროს სასმელი წყლის სარწყავი დანიშნულებით გამოყენება და ურჩევს, იმ შემთხვევაში, თუ არ მიეწოდებათ სარწყავი წყალი, დაუკავშირდნენ საქართველოს მელიორაციის სამსახურს.

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს წარმომადგენლები წეროვანსა და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში იმყოფებოდნენ

5 და 6 ივნისს თბილისის საკრებულოს წევრები, თბილისის მერიისა და ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს წარმომადგენლები წეროვნის დევნილთა დასახლებასა და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში იმყოფებოდნენ, სადაც ადგილზე არსებულ ვითარებას გაეცნენ.

ვიზიტი 5 და 7 ივნისს გაიმართა. დელეგაციას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა - გიორგი კაპანაძემ, გოჩა ქავთარაძემ, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა და სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა დავით ფეიქრიშვილმა უმასპინძლეს.

შეხვედრების ფარგლებში, საუბარი შეეხო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მდგომარეობას, სახელმწიფო/მუნიციპალურ პროგრამებსა და იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც დევნილთა დასახლებაში ბოლო დროს განხორციელდა.

ვიზიტორები, ასევე, ესტუმრნენ კულტურის სახლს, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრს, სპორტულ სკოლას, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს, დაესწრნენ მუსიკალური წრის რეპეტიციას და ადგილობრივ სკოლაში ბავშვების ნახატების გამოფენა დაათვალიერეს.

სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია, მოადგილე ნინო რუხაძე, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიების თავმჯდომარეები.

ვიზიტი ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონთა საბჭოს კომიტეტის (CEMR) შეხვედრის ფარგლებში შედგა, რომელსაც თბილისი მასპინძლობს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 23 საბავშვო ბაღის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2023 წელს, ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება, მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში – 9 საბავშვო ბაღის სამშენებლო და 14 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებია გათვალისწინებული.

საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება. მოეწყობა შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. შენობები სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, 2021-2023 წლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მასშტაბით აშენდა 6 და რეაბილიტირდა 6 საბავშვო ბაღი. ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს სკოლამდე აღზრდის 2 დაწესებულებაში.

წილკნის დევნილთა დასახლებაში მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფარი აშენდა

მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, აშშ-ის ჯორჯიის შტატის გუბერნატორთან და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფარი გახსნა სოფელ წილკნის დევნილთა დასახლებაში.

პროექტი, რომლის საგრანტო ღირებულება დაახლოებით 1,020,000.00 აშშ დოლარს შეადგენს, აშშ-ის ევროპული სარდლობის და აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის მიერ დაფინანსდა. 24 ბენეფიციარზე გათვლილი შენობა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამისი ინვენტარით უკვე აღიჭურვა.

თავშესაფრის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, აშშ-ის ჯორჯიის შტატის გუბერნატორ ბრაიან კემპთან და პირველ ლედისთან მარტი კემპთან, აშშ-ის ჯორჯიის შტატის გვარდიის გენერალ-ადუტანტ ტომას კარდენთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

„დღეს ჩვენი რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესი დღეა. ამერიკულ მხარესთან კოორდინირებული მუშაობით, წილკნის დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე გავხსენით მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფარი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. აქ ბენეფიციარებს ცხოვრება კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში შეეძლებათ.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ თავშესაფრის გახსნის ღონისძიებაზე აშშ-ის ჯორჯიის შტატის გუბერნატორი და სხვა სტუმრები იმყოფებიან. აღნიშნული პროექტი, სწორედ, მათი მხარდაჭერითა და დაფინანსებით განხორციელდა, რისთვისაც მადლობას ვუხდი და ვიმედოვნებ, რომ ორმხრივ თანამშრომლობას მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ,“ - განაცხადა დავით ნოზაძემ.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ატესტატების გაცემას 3 ივლისიდან დაიწყებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მისაღებად განცხადებების მიღება და ატესტატის გაცემა 3 ივლისიდან დაიწყება.

მთელი ქვეყნის მასშტაბით წელს სკოლა 47 306-მა მე-12 კლასელმა დაამთავრა.

სკოლადამთავრებულები სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო მატერიალური დოკუმენტის მისაღებად განაცხადის გაკეთებას შეძლებენ იუსტიციის სახლებსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებში.

აბიტურიენტები მზა ატესტატებს განაცხადის წარდგენიდან მე-10 სამუშაო დღეს უფასოდ მიიღებენ. დოკუმენტის უფასოდ მისაღებად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ატესტატის დაჩქარებული წესით აღების შემთხვევაში კი, დაწესებულია შესაბამისი საფასური.

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის — ატესტატის მიღება შესაძლებელია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. ელექტრონული ატესტატი არის ორიგინალი დოკუმენტის ასლი, რომელიც დედნის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტია.

დაინტერესებულ პირებს მატერიალური დოკუმენტის დამზადების შემდეგ, ნებისმიერ დროს, ადგილიდან გაუსვლელად შეუძლიათ ელექტრონული პორტალიდან (მყ.გოვ.გე) ელექტრონული ატესტატის ჩამოტვირთვა. ამისათვის უნდა გამოიყენონ განცხადების ჩაბარებისას მათთვის გადაცემულ სამახსოვრო ბარათში მითითებული განცხადების ნომერი და კოდი.

აბიტურიენტებს ელექტრონული ატესტატით სარგებლობა შეუზღუდავად შეუძლიათ, იმის მიუხედავად, გაიტანენ თუ არა მზა მატერიალურ დოკუმენტს.

ნიკო ხერკელაძის იუბილე თბილისის საკრებულოში

ნიკო ხერკელაძე – დიდი მხატვარი და ფართო დიაპაზონის პროზაიკოსი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, აკადემიკოსი, მრავალი ჯილდოს და პრემიის ლაურეატი. მისი ნახატები დაცულია ლუვრში (საფრანგეთი), კარლ-მარქს- შტადტის (გერმანია), ტრეტიაკოვის (რუსეთი, მოსკოვი) გალერეებსა და და გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურის მოღვაწეთა კოლექციებში საქართველოსა და მთელ მსოფლიოში.

ნიკო ხერკელაძე იუბილარია...

საქართველოს მწერალთა კავშირმა მისი იუბილე თბილისის საკრებულოს დარბაზში აღნიშნა ურიცხვ სტუმართან ერთად. იუბილე დიდი მხატვრისა მისი გენიალური შემოქმედების გამოფენის დათვალიერებით დაიწყო...

ნიკო ხერკელაძის თითოეული „გენიალური ქმნილებიდან „იწყება ფერთ სასწაული და მთელ მის შემოქმედებას გვირგვინად ადგას. მისი მხატვრული სამყარო ბიბლიიდან იღებს სახვითი ხელოვნებისათვის აუცილებელ პრინციპებს და არამხოლოდ რელიგიურ იდეებს. ბიბლიური თემებით გაცისკროვნებული ხელოვანის შემოქმედებაში სულიწმინდის მადლი გადმოდის.

„აღსარება“, „ლაშარობა“,’„ათენგენობა“,’„ადამი და ევა“ ბიბლიური სამყაროს საიდუმლოების მხატვრული ახსნა და კაცობრიობის სულიერი მისიის შეცნობაა...“ ნიკო ხერკელაძის ნახატების დიდი ნაწილი ეთმობა საქართველოს გმირულ წარსულს (ამ გრძნობით დაწერა არაჩვეულებრივ წიგნიც „ცრემლში ნალესი ხმალი“). მათი ნიშანდობლივი საერთო მახასიათებელია ისტორიზმი, ქართული ფოლკლორი, ჰუმანიზმი, გროტესკის ელემენტები.

დიდი მხატვრის პერსონაჟები ცხოვრობენ ჩვეულებრივი ცხოვრებით, თავისი სიხარულითა და სევდით, საოცრად უბრალონი და პირდაპირნი გრძნობების გამოხატვაში, რეალურნი და, ამავე დროს, ძლიერად მიჯაჭვულნი ტრადიციებს.’’

ახალგორელები განსაკუთრებული სიამყის გრძნობით ვეწვიეთ იუბილარს, ის ხომ ჩვენი მშობლიური, ამჟამად ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ხერკელაანთკარიდან არის... მის გენიალურ შემოქმედებას ხომ ჩვენს საყვარელ და სამოთხე ქსნის ხეობაში ჩეყარა საძირკველი...

ნიკო ხერკელაძის – საქართველოს საამაყო და ჭეშმარიტი შვილის იუბილე მიჰყავდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს. მილოცვასთან ერთად, მის შემოქმედებასა და აღმატებულ ნიჭზე საუბრობდნენ გამოჩენილი მხატვრები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი... იუბილარს და დიდ მამულიშვილს მიესალმა, გულთბილად მიულოცა იუბილე და ქსნის ხეობელთა სამადლობელი სიგელი გადასცა ახალგორის საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა.

იუბილეს სხვა შემსრულებლებთან ერთად ლამაზი ელფერი შესძინა ანსამბლმა ლომისმა (ხელმძღვანელი შალვა ილურიძე).

ყველა მოსწავლეში დადებითს ვხედავდი მუდამ...



ზაქრო ხუციშვილს ჩვენი გაზეთის მკითხველის წინაშე წარსდგენა არ სჭირდება, მას ყველა იცნობს და კარგადაც მოეხსენება მისი სიკეთით, ღვაწლით განვლილი ცხოვრების შესახებ. ის ახლახან 88 წლის გახდა. ამბობენ, ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ ლამაზი მოგონებები უნათებსო გულსა და გონებას... ლამაზი მოგონებების მეტი რა აქვს კაცს, რომელმაც ნახევარი საუკუნე სკოლაში გაატარა, თაობები აღზარდა და ნამოწაფრების კარგი სახელით ამაყობს...

– ზოდეხში დავიბადე, რვა დედამამიშვილი ვიზრდებოდით ოჯახში. მამაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ სახელის და გვარის მოწერა იცოდა მხოლოდ, კოლმეურნეობოს თავმჯდომარე იყო. 40 ტონა ხორბალი მოჰყავდა სოფელს, ცხვარ-ძროხის სიმრავლე კიდევ სხვა იყო... დედა მშრომელი, სიკეთით სავსე ბრძანდებოდა, ხანდახან მკაცრიც, მაგრამ სამართლიანი. შრომას ბავშვობიდანვე მიგვაჩვია. დადიანეთის რვაწლიან სკოლაში ვსწავლობდით. ყოველა დილა 7 კილომეტრს მივდიოდით ფეხით წვიმასა და ქარში, თოვლში, მაგრამ მაინც მიგვიხაროდა... მერე საშუალო სკოლაში ლარგვისში გადმოვედით, იქაც ფეხით დავდიოდით...

ლარგვისში მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა, განაწილებით იყო მოსული, მანაშეროვი ტარიელი, მაგან შემაყვარა მათეატიკა, ისე დამაინტერესა, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. სხვათ შორის, 5 წელი ფრიადოსანთა დაფაზე იყო გამოკრული ჩემი სურათი... კარგი იყო ახალგაზრდობა და სტუდენტობა...

1961 წელს ავიღე ხელში პირველად საკლასო ჟურნალი, ჩემს მშობლიურ სკოლაში დავიწყე მათემატიკის მასწავლებლად მუშაობა. მერე სკოლის ორგანიზატორი ვიყავი, სასწავლო ნაწილი, მერე დირექტორი.

როცა რამე საქმეს გულით აკეთებ და მთლიანად ამ საქმეზე ხარ ორიენტირებული, ვერც კი გრძნობ, რა კარგი პროფესიის ხარ... ახლა, ჩემი ნამოწაფრები რომ მხვდებიან, გულში ჩამიხუტებენ ხოლმე და ისე თბილად მომიკითხავენ, სიხარულით მევსება სიბერის წლები. მერე მხიარულად იხსენებენ ათას რამეს, ეს ძალიან კარგია. თურმე რა კარგი საქმე მიკეთებია (იცინის)...

– განათლების მინისტრმა რჩევა რომ გკითხოთ, რას ეტყოდით?

– ეჰ, ბევრ რამეს ვეტყოდი. უმთავრესად კი იმას, რომ ბავშვმა, მოსწავლემ სკოლაში, გაკვეთილზე უნდა მიიღოს ის ცოდნა, ეროვნული გამოცდების ჩაბარება რომ შეძლოს. ეს რეპეტიტორობა საშინელი საქმეა... ბავშვები სკოლაში არ დადიან ბოლო წელს, ან დადიან და ალბათ არაფერს სწავლობენ და რეპეტიტორებთან ემზადებიან... ამას მე ქვეყნის მასშტაბით, ზოგადად ვამბობ... მერე ძალიან დიდი გადასახადია სწავლისა, ნემსის ყუნწში ძვრებიან მშობლები, რომ გადაუხადონ ეს სწავლის ფული, ამთვარებენ და მერე არის სამსახურები?

მინისტრს კიდევ იმას ვთხოვდი, რომ სკოლაში ფეხი არ შეადგმევინოს არაპროფესიონალს, ისეთ კადრს, ვისაც ბავშვებისთვის თავდადება არ შეუძლია და არა აქვს გაცნობიერებული, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის თუნდაც ერთ წინადადებას, ერთ გაკვეთილს ბავშვისათვის.

– რომელი ფაქტორია განმსაზღვრელი, თქვენი აზრით, – ცოდნა თუ ბავშვების სიყვარული და მათთან კომუნიკაცია...

– ორივე! ორივე ერთდროულად. გქონდეს ცოდნა, თუ ბავშვამდე ვერ მიიტან, ან აუხსენი კარგად გაკვეთილი, თუ ბავშვი შენგან ვერ გრძნობს სიყვარულს, გულწრფელობას, სამართლიანობას...

დიდი, ძალზე დიდი მისია აკისრია დღეს მასწავლებელს, ადრეც ასე იყო, მაგრამ გლობალიზაციის ეპოქამ კიდევ უფრო გაამძაფრა მასწავლებლის, სკოლის ვალი და პასუხისმგებლობა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

– ამბობთ, რომ ამაყობთ თქვენი ნამოწაფრებით. რომელი ან როგორი ბავშვი უფრო დაგამახსოვრდათ – ცელქი, ზარმაცი, ყოჩაღი თუ წარჩინებული?

ბავშვთა დაცვის დღე ახალგორის ბიბლიოთეკაში

ახალგორის ბიბლიოთეკამ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ყველაზე საპატიო სტუმრებს – ბავშვებს უმასპინძლა და პატარებისთვის საზეიმო ვითარებაში მოაწყო მულტფილმების ჩვენება. შემდეგ პატარებმა იცეკვეს, იმღერეს, ითამაშეს, მხიარულად გაატარეს ეს დღე.

პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და ლაღი ბავშვობა, მშვიდობა და წარმატებები უსურვა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა.

კონფერენცია წეროვნის მე-3 საჯარო სკოლაში

ახლახან წეროვნის მე-3 საჯარო სკოლაში ჩატარდა კონფერენცია „მდგრადი განვითარების მიზნები“. კონფერენცია დაგეგმილი იყო მცხეთის მასწავლებელთა თანამშრომლობის საბუნებისმეტყველო საგნების პლატფორმის აქტიური პედაგოგების მიერ! საგნობრივი პლატფორმები შეიქმნა მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის და სპმთპ მცხეთის რაიონული ორგანიზაციის ერთობრივი თანამშრომლობის შედეგად.

საბუნებისმეტყველო საგნების ჯგუფი შექმნის პირველი დღიდან გამოირჩევა აქტიური და ნაყოფიერი შეხვედრებით. შედეგად დაიგეგმა კონფერენცია, სადაც მონაწილეობდა 8 სკოლის 12 მასწავლებელი და 38 მოსწავლე. კონფერენციას ესწრებოდა მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ბატონი ბექა იორდანიშვილი. მან მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და მათ მოსწავლეებს ასეთი ინიციატივისთვის და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრები გაიმართოს სხვა საგნებშიც!

მოსწავლეებმა ძალიან საინტერესოდ წარმოადგინეს მდგრადი განვითარების 17 მიზანი. შეხვედრის ბოლოს პედაგოგებს და მათ მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

– თითქმის ნახევარი საუკენე გავატარე სკოლაში და ყველა ბავშვში – ცელქშიც, ზარმაცშიც – დადებითს ვეძებდი, ვხედავდი და ვახალისებდი კიდეც, მტრულად არცერთ ბავშვს არ მოვქცევივარ... არ მეგულება ადამიანი, ბავშვობაში ან არ ეცელქოს ან „შატალოზე“ არ წასულიყოს, ან არ ეზარმაცოს... ზოგს გვიან ეხსნება გონება, გვიან იწყებს სწავლასა და მომავალ პროფესიაზე ფიქრს, ჩვენი ვალდებულებაც ხომ ეგ არის – მათ სულში ჩავიხედოთ, გული არ ვატკინოთ, მომავალი წარმატებისათვის მოვამზადოთ...

– თქვენ რაზე გტკენიათ გული?

– ცხოვრებაში ორი დიდი ტკივილი გადავიტანე... 24 წლის შვილი, ნიკა, წამართვა საწუთრომ, 2008 წლის ომმა კი ჩემი მშობლიური ქსნის ხეობა, ახალგორი...

– კონსტანტინეს და ანას რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში...

– უჰ! ესენი არიან პაპას გულის ნაწილები, ჩემი სიბერის ჟანგბადი, როგორ გითხრათ... ამ ბავშვებმა მთლიანად შეცვალეს ჩემი ცხოვრება... ტყუპები არიან, ჩემი მაიას შვილები. მაია საამაყო შვილია, სანაქებო ოჯახიც აქვს, წლებია, „ავერსში“ მუშობს ექიმად. ვიცი, სახლიდან რომ გადის ჩემი შვილი, სხვის ტკივილს აყუჩებს, ეხმარება, სიცოცხლის სადარაჯოზე დგას. მშობლისთვის ამაზე კარგი რა უნდა იყოს...

მიხარია, რომ გაზეთის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებთ ღვაწლმოსილ ადამიანებზე... თქვენს მკითხველს სიკეთეს ვუსურვებ, ჩემი ხნისა მოიყარენით...

მთავარი გზავნილი – მშვიდობიანი მშენებლობა

ახლახან პროექტი „ვიზიტი ანუ სვლა მშვიდობის მშენებლობისათვის“ გაიმართა, სადაც წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროექტი წარმოადგენდა გაცნობა-დამეგობრების აქტს, სხვადასხვა კოლაბორაციებით. პროექტის გენერალური სპონსორია ნაციონალიზმისა და კონფლიქტის კვლევის ინსტიტუტი.

აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა პროექტის'„განათლება შერიგებისათვის“'' ფარგლებში, რომელსაც ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა პროექტის აქტიურმა მხარდამჭერმა, წმინდა ნინოს სახელობის სკოლის დირექტორმა ლალი მელივამ. ორი სკოლის მოსწავლეების შეხვედრამ კიდევ უფრო კარგად წარმოაჩინა ყველა თაობისათვის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი – გამოხატვის თავისუფლების საოცარი მუხტი და ძალა, გარდაუვლად გასათვალისწინებელი დეტალები იმისათვის, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში მშვიდობიანი დიალოგით, მოსმენის კულტურით, სხვისი აზრის პატივისცემით მნიშვნელოვანი შედეგი დადგეს.

ღონისძიება ძალიან საინტერესო აქტივობებით ჩატარდა. ორივე სკოლის მოსწავლეებმა ერთობლივი ჩართულობით გენიალურად შეასრულეს საქართველოს, უკრაინის, მშვიდობიანი რუსეთის'(ასეთად წარმოადგინეს), ევროკავშირის „მშვიდობის სახლი“, სადაც სტრატეგიულად, ეკონომიკურად და კულტურად მნიშვნელოვანი პრიორიტეტები ფერად სლოგანებად და ნახატებად გამოიტანეს შენობის ფასადზე და სიმბოლურად, მტრედებშეყუჟული, არაჩვეულებრივი ორიგინალური იდეებით „სავსე“ სახლიც დაიდგეს. პროექტის მთავარი გზავნილი მშვიდობიანი მშენებლობა გახლდათ, რადგან ჩვენი ქვეყნისათვის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება ჯერ ისევ გადაუჭრელ პრობლემად და მთავარ მისიად ითვლება.

მასპინძლებმა წეროვნის სკოლიდან მიწვეულ პედაგოგებს – ნანა გიგაურს, მანანა ჩოხელს და ფერიდე გაგოევას ჩვენი მოსწავლეების აქტიური ჩართულობის, გამოვლენილი ცოდნის და უნარების გამო მადლობა გადაუხადეს.

პროექტს „ვიზიტი ანუ სვლა მშვიდობის მშენებლობისთვის“ გაგრძელება მოჰყვა. ამჯერად წეროვნის საჯარო სკოლამ ,,სამშვიდობო განათლების“ ფარგლებში მიიპატიჟა წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლისა და ოძისის სკოლის წარმომადგენლები.

მასპინძლებმა უშუალო, თბილი გარემო დაახვედრეს სტუმრებს. გაიმართა გაცნობითი თამაშები, მსჯელობა და დისკუსია, სიმღერა და ცეკვა. შეხვედრა წეროვნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოლოცვით დასრულდა. სტუმრები შესანიშნავი დახვედრის, კეთილი განწყობისა და სტუმართმოყვარეობისათვის წარმატება უსურვეს ჩვენი სკოლის მოსწავლე- მასწავლებლებს!

ახალგორის სამუსიკო სკოლამ გამოსაშვები კონცერტი გამართა

სასწავლო წლის დასასრულისთვის კარგად მოემზადნენ ახალგორის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები და ულამაზესი აკადემიური კონცერტით წარსდგნენ მშობლების და მიწვეული სტუმრების წინაშე.

კონცერტი გაიხსნა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მიერ შესრულებული ქართველი და უცხოელი კლასიკოსი კომპოზიტორების საფორტეპიანო ნაწარმოებების შესრულებით. განსაკუთრებული ნიჭით, მუსიკალური მონაცემებით და შესრულებით გამოირჩეოდნენ დები ანა და ნინო არხოშაშვილები. მასწავლებლებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ გოგონების დედამ ცირა მიდელაშვილმაც წარმატებით დაამთავრა ახალგორის სამუსიკო სკოლა და პროფესიადაც მუსიკის მასწავლებლობა აირჩია.

სტუმრების და მასწავლებლების ქება დაიმსახურეს მარიამ ბლიაძემ, ქეთი გათენაშვილმა, ლიზი მარიამიძემ.

ქეთი გათენაშვილის ბავშვურ ოცნებებს ჰარმონიულად ერწყმის კლასიკური მუსიკა. პედაგოგის ლიკა ხაბულიანის და წარჩინებული მოსწავლის ერთობლივი შრომის შედეგს წარმატება მოაქვს პატარა ნიჭიერი პიანისტისათვის. ქეთიმ წელს დაამთავრა სამუსიკო სკოლა. წარჩინების დიპლომიც აიღო და სჯერა, რომ ამ სკოლაში გატარებულ წლებს, თითოეულ გაკვეთილსა და აკადემიურ კონცერტს მისთვის ყოველთვის სიხარული და უფრო მეტის მიღწევის მოტივაცია მოჰქონდა. ქეთი მადლობას უხდის ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან საყვარელ ლიკა მასწავლებელს, სკოლის დირექციას, ყველა პედაგოგს ერთგულებისა და პროფესიონალიზმისათვის, ბავშვების უსაზღვრო სიყვარულისათვის, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. თითოეულ ადამიანს მუსიკა და მით უმეტეს, კლასიკური, აკეთილშობილებს, მოტივაციას აძლევს, აცნობს სხვადასხვა ქვეყნის კულტურას.

მოსწავლეთა წარმატებებს ყოველთვის განაპირობებს კარგი, პროფესიონალი პედაგოგი. ამჯერადაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლაში თითქმის ნახევარი საუკუნეა დიდი მონდომებით, მუსიკისა და პატარა პიანისტების სიყვარულით მუშაობენ ღვაწლმოსილი მასწავლებლები ანგო როსტიაშვილი და ამალია შერაზადიშვილი, ასევე, ლიანა ხაბულიანი, ია ზარიძე, მაია ქურთაული.

სამუსიკო სკოლაში წარმატებით ეუფლებიან ბავშვები ფოლკლორულ და ხალხურ სიმღერებსა და სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს ამ საქმის პროფესიონალი შალვა ილურიძე.

კონცერტზე უკვდავი ქართული ხალხური მელოდიები ფანდურის თანხლებით წარმატებით შეასრულეს ძმებმა საბა და გიორგი ქასოშვილებმა, მარიამ გვრიტიშვილმა, სხვებმა.

სკოლის დირექტორმა მარინა ხრიკულმა მოსწავლეებს საზეიმოდ გადასცა სკოლის დამთავრების ატესტატები.

სამუსიკო სკოლას ამ ულამაზეს ღონისძიებაზე ეწვივნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, ახალგორის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, მცხეთის საკრებულოს წევრი ჯონი ბაშარული, ახალგორის მუნიციპალიტეტის განათლებისა და სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი ნუგზარ ფსუტური. მათ სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს მიულოცეს სასწავლო წლის დასრულება და მომავალშიც წარმატებები უსურვეს.

გივი ქენქაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში

ახალგორის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ჩატარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გივი ქენქაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის (2008-2009 წლებში დაბადებულები).

გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა წონით კატეგორიის მიხედვით, რომლებიც საერთაშორისო სპორტის ოსტატის გივი ქენქაძის სახელობის დიპლომებით და თასებით დაჯილდოვდნენ. ახალგორის სასპორტო სკოლიდან სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებები მოიპოვეს: ლუკა კახნიაშვილმა, დათო ბერუაშვილმა, ვალერი ბაშარულმა, ჯონი ხეთაგუროვმა, რობი კახნიაშვილმა, გიგა ჯარმელიშვილმა, ავთო ოდიშვილმა, საბა ქასოშვილმა, ვატო მორბედაძემ, გიორგი ჯოხარიძემ, ვასო ზანგალაძემ. ძიუდოისტ დავით ბეგაშვილს კი გადაეცა გივი ქენქაძის სახელობის სპეციალური პრიზი.

მათ პრიზიორებს მიულოცეს და ყველა მონაწილეს წარმატებები უსურვეს.

სპორტულ ღონისძიებას ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი ესწრებოდნენ.

გერმანული ჰოსპიტლისა და „გლობალმედის“ ერთობლივი აქცია

24 ივნისს, 10:00 საათიდან, ახალგორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, საქართველოს ვეტერანთა და ინვალიდთა ორგანიზაციის ჩართულობითა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ჩატარდა მაღალი ხარისხის მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურეობა.

გამოკვლევები ჩაატარეს გერმანული ჰოსპიტლისა და კლინიკა „გლობალმედის” ექიმებმა.

უფასო აქციით ისარგებლა 60-ზე მეტმა პაციენტმა. მათ, ასევე, ჩაუტარდათ ექოსკოპიური გამოკვლევები და გასინჯვები.

საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი უფასო გამოკვლევები სტაციონარში გაგრძელდება, ხოლო ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი იქნება.

ახალგორის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის საქართველოს ვეტერანთა და ინვალიდთა ორგანიზაციასა და კლინიკის მედპერსონალს გაწეული დახმარებისთვის.

თამუნა გიგაურისა და მაყვალა მელთაურის გახსენება

1 წელი გავიდა, რაც თამარ (თამუნა) გიგაური და მაყვალა მელთაური ზეციურ სასუფეველში გადასახლდნენ...

1 წელია, მათი გულიანი გამარჯობა, მათი გულწრფელი ღიმილი აღარ გვინახავს ახალგორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს... მათ მაგიდებთან, სადაც წლების მანძილზე მუშაობდნენ, ხშირად ციმციმებს სანთელი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

თამარი მუნიციპალიტეტის საფინასო განყოფილებაში მუშაობდა, მაყვალა – ლარგვისის ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტად.

მათ, რომლებიც შარშან, მაისსა და ივნისში გარდაიცვალნენ, ამ ქვეყნად სიყვარული დაგვიტოვეს. ჩვენს მოგონებებში მუდამ იცოცხლებენ... მათთვის სამსახური, ჩვენი დიდი ოჯახის საპატიო წევრობა სიხარულთან, ბედნიერებასთან ასოცირდებოდა.

სამაგალითონი იყვნენ თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით, ადამიანებთან კეთილი, წრფელი კომუნიკაციით, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით

რა სამწუხაროა, რომ თითქოს მივეჩვიეთ, ახალგორელთა სევდის ნავსაყუდარი რომ გახდა ქანდის სასაფლაო, რომელსაც შორიდან თითქოს ცრემლიანი გადმოსცქერის ლორწომის კლდე... მამაპაპისეული განსასვენებელი აღარ გვაქვს... თამუნაც და მაყვალაც, ჩვენი უსაყვარლესი მეგობრები და კოლეგები, ქანდის სასაფლაოზე განისვენებენ და იქ მისულებს, ვინ იცის, მერამდენედ შეგვახსენებენ, რომ მარადიული ამ ქვეყნად დატოვებული კარგი სახელი, სიყვარული და ხსოვნაა გულისა.

თამუნა და მაყვალა! ჩვენი თქვენდამი სიყვარული და ხსოვნა გულისა წრფელია და მარადიული...

მეგობრები

რაისა ოდიშვილის ხსოვნას

თანაკლასელები სამძიმარს უცხადებენ ნინო ოდიშვილს დედის რაისას გარდაცვალების გამო და აღნიშნავენ, რომ ამ ოჯახთან და ქალბატონ რაისასთან ძალზე თბილი მოგონებები აკავშირებთ. ის 4 შვილის არაჩვეულებრივი დედა, დიასახლისი ბრძანდებოდა, რომელმაც მთელი ცხოვრება მისთვის უცხო ქვეყანაში შვილებს და ოჯახს მიუძღვნა, ცხოვრობდა ქართული წეს-ჩვეულებებით, სტუმარ-მასპინძლობით, ადამიანების უსაზღვრო სიყვარულით და კეთილი გულით. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს. მის გულზე დაბნეულმა ქართულმა მიწამ სიმშვიდე მიანიჭოს მარადიულ სასუფეველში.

იკოთის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები სამძიმარს უცხადებენ პედაგოგ ნანა ქისიევას დედის

ოლია ელკანოვას

გარდაცვალების გამო.

სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

მშობლიური ბუდიდან აფრენილ მერცხლებს ჰგავდნენ წეროვნის, ფრეზეთისა და წილკნის საბავშვო ბაგა-ბაღებში მოწყობილ გამოსაშვებ კონცერტებზე პატარები... მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს კითხულობდნენ, საყვარელ ზღაპრის გმირებს ანსახიერებდნენ, მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს თავიანთ შემოქმედებას – ნახატებს, აპლიკაციებს, სხვადასხვა ხელნაკეთ ნივთს ათვალიერებინებდნენ გახარებული და ჭიკჭიკა ბავშვები. მხიარულად ემშვიდობებოდნენ მშობლიურ საბავშვო ბაღს და საყვარელ მასწავლებლებს...

ამ მრავალფეროვან აქტივობებს ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ნუგზარ პაპუნაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მათ საინტერესო საზეიმო წარმოდგენებისათვის მადლობა გადაუხადეს ბაგა-ბაღების ხელმძღვანელობას და პედაგოგებს, პატარებს გზა დაულოცეს სკოლისაკენ და სამახსოვრო ალბომები გადასცეს.

მანამდე კი, პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დევნილთა დასახლების ყველა სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებმა მშობლებთან და სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად აღნიშნეს დღესასწაული.